საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ია

ია (Viola), მცენარეთა გვარი იისებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი, იშვიათად ერთწლოვანი ბალახებია, ზოგჯერ – ნახევრად ბუჩქები. აქვთ მორიგეობით გაწყობილი ან ფესვთან როზეტად შეკრებილი ფოთლები, იისფერი, ყვითელი და თეთრი მარტოული ყვავილები. გვირგვინის ქვედა ფურცელი წაზრდილია დეზად, რ-შიც სანექტრეა მოქცეული. ზოგიერთს უვითარდება კლეისტოგამური ყვავილები. ნაყოფი სამსაგდულიანი კოლოფია. ზოგ სახეობას ახასიათებს ამფიკარპია. ცნობილია 500-მდე სახეობა. უმრავლესობა გავრცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი გავრცელებულია 26 სახეობა, მათგან 3 კავკასიის ენდემია, ორი კი [სწორრქიანი ი. (Viola orthoceras) და სოსნოვსკის ი. (Viola sosnowskyi)] – საქართველოსი.

საქართველოში ი. იზრდება ტყეებსა და ბუჩქნარებში, სუბალპურ და ალპურ მდელოებზე, კლდეების ნაპრალებში, ჩამონაზვავებზე, ზოგი (Viola alba) სარეველაც არის.

ი. დეკორ. მცენარეა (იაჟუჟუნა – Viola tricolor და სხვ.). პარფიუმერიაში იყენებენ სურნელოვან ი-ს (Viola odorata).